## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

### სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 115

7 ოქტომბერი 2016 წელი

ქალაქი ბათუმი

ერთი მხრივ სსიპ „აჭარის მ.კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მ/შ გიორგი ჩაჩავას სახით და მეორე მხრივ შპს „csc batumi" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს შესახებ დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. 'დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

#### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვა დანართის შესაბამისად (CPV30200000).

#### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 328,90 ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

#### 4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1.მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი დღის ვადაში.

#### 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ან/და საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარებისდა და სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ.

#### 6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებლიდან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და ანგარიშფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
6.4. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

#### 7. გარანტია

7.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება ან/და საქონელი მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.
7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

#### 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

#### 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

#### 9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

#### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

...ლისწინებული შემთხვევებისა.
... ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ...ლშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. ხელშეკრულების 11.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 3 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

## 13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლ43ება მხარეთა შორის ,შესრულდება ქართულ ენაზე.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი: შპს “csc batumi“

მისამართი: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. N86

საიდენტიფიკაციო კოდი: 448386425

ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

საანგარიშსწორებო ანგარიშის N:

N GE57TB7563236080100001

დირექტორი

ამირან გოგრაჭაძე

---

შემსყიდველი: აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი

მისამართი: ქ. ბათუმი მაიაკოვსკის ქუჩა N55

საიდენტიფიკაციო კოდი: 245428737

|ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორის მ/შ გიორგი ჩაჩავა

---

ნართი

| საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | ერთეულის ფასი (ლრი) | რაოდენობა | სულ თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| რადიო ქსელი TL-WN781ND, TP-LINK 150MBPS WIRELESS PCI EXPRESS ADAPTER (WIFI) | ცალი | 35 | 1 | 35 |
| ქსელის კაბელი 05102420, ITD, CAS5E UTP, 24A WG, 0.5MM, CCA, INDOOR 305M/BOX | მეტრი | 0,50 | 11 | 5,50 |
| ASUS RT-N14U WIRELESS-N300 CLOUD ROUTER | ცალი | 90 | 1 | 90 |
| ARCHER G50,TP-LINK, AC1200 WIRELESS DUAL BAND ROUTER | ცალი | 150 | 1 | 150 |
| 06112420,ITD,CAT6E FTP, 24AWG 0.5MM CCA INDOOR 305M/BOX ) ქსელის კაბელი | მეტრი | 0,80 | 58 | 46,40 |
| ჯეკი RJ45 ITD, UTPCAT5E MODULAR PLUG 8P8C (100PCS) | ცალი | 0.25 | 8 | 2 |
| | ჯამი | | | 328,90 |

მიმწოდებელი ------------------------------------------------

შპს "სისიესი ბათუმი" CSC BATUMI 448386425 GEORGIA LIMITED

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ.ბათუმი 7 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ,,აჭარის მ.კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი'' (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მ/შ გიორგი ჩაჩავას სახით და მეორე მხრივ შპს ,,csc batumi'' (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 07 ოქტომბრის N115 ხელშეკრულებისა მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები დანართის შესაბამისად ღირებულებით 328,90 (სამასოცდარვა ლარი და ოთხმოცდაათი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარისგან.

ჩააბარა: მიიღო:

ამირან გოგრაჭაძე გიორგი ჩაჩავა